

შპს „მესტიაჭალა 1“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024
წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	35,354,307	34,584,048
აქტივის გამოყენების უფლება	15	646,860	-
ავანსი გრძელვადიანი აქტივებისთვის	9	474,566	351,477
სხვა გრძელვადიანი აქტივები		2,285	2,784
გრძელვადიანი აქტივები		36,478,018	34,938,309
სხვა მოკლევადიანი აქტივები		50,676	33,843
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		17,300	-
სავაჭრო მოთხოვნები		78,490	19,579
გადახდილი ავანსები		176,565	15,137
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,408,245	148,412
მოკლევადიანი აქტივები		1,731,276	216,971
სულ აქტივები		38,209,294	35,155,280
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		755,786	8,192,430
დაგროვილი ზარალი		(3,305,249)	(2,793,793)
სულ საკუთარი კაპიტალი	12	(2,549,463)	5,398,637
ვალდებულებები			
სესხი	14	38,129,052	27,881,258
საიჯარო ვალდებულება	16	638,159	-
გრძელვადიანი ვალდებულებები		38,767,211	27,881,258
სესხი	14	1,795,095	1,730,346
საიჯარო ვალდებულება	16	72,574	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		123,877	12,082
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		-	132,957
მოკლევადიანი ვალდებულებები		1,991,546	1,875,385
სულ ვალდებულებები		40,758,757	29,756,643
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		38,209,294	35,155,280

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ნინო ცხადაია

დირექტორი

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	35,354,307	34,584,048
აქტივის გამოყენების უფლება	15	646,860	-
ავანსი გრძელვადიანი აქტივებისთვის	9	474,566	351,477
სხვა გრძელვადიანი აქტივები		2,285	2,784
გრძელვადიანი აქტივები		36,478,018	34,938,309
სხვა მოკლევადიანი აქტივები		50,676	33,843
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		17,300	-
სავაჭრო მოთხოვნები		78,490	19,579
გადახდილი ავანსები		176,565	15,137
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,408,245	148,412
მოკლევადიანი აქტივები		1,731,276	216,971
სულ აქტივები		38,209,294	35,155,280
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		755,786	8,192,430
დაგროვილი ზარალი		(3,305,249)	(2,793,793)
სულ საკუთარი კაპიტალი	12	(2,549,463)	5,398,637
ვალდებულებები			
სესხი	14	38,129,052	27,881,258
საიჯარო ვალდებულება	16	638,159	-
გრძელვადიანი ვალდებულებები		38,767,211	27,881,258
სესხი	14	1,795,095	1,730,346
საიჯარო ვალდებულება	16	72,574	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		123,877	12,082
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		-	132,957
მოკლევადიანი ვალდებულებები		1,991,546	1,875,385
სულ ვალდებულებები		40,758,757	29,756,643
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		38,209,294	35,155,280

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ნინო ცხადაია
დირექტორი



ლარი	შენიშვნა	2024
ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	5	7,770,230
სულ ამონაგები		7,770,230
სხვა საოპერაციო შემოსავალი		31,038
ელექტროენერგიის და გადაცემის დანახარჯები		(194,095)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,132,704)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(68,306)
სულ არასაოპერაციო ხარჯები		(2,364,067)
EBITDA		5,406,163
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,048,385)
ფინანსური შემოსავალი		36,726
ფინანსური დანახარჯები	7	(3,188,115)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		(1,727,137)
არარეგულარული ხარჯები, წმინდა		9,292
ზარალი დაბეგვრამდე		(511,456)
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წლის ზარალი		(511,456)

ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს		8,192,430	(2,793,793)	5,398,637
ზარალი და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
წლის ზარალი		-	(511,456)	(511,456)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან				
საწესდებო კაპიტალის შემცირება		(7,436,644)	-	(7,436,644)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	12	755,786	(3,305,249)	(2,549,463)

ლარი	შენიშვნა	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის ზარალი		(511,456)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია		1,048,385
ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან		9,855
ფინანსური შემოსავალი		(36,726)
ფინანსური დანახარჯი	7	3,188,115
საკუროს სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		1,727,137
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		5,425,310
ცვლილებები:		
სხვა მოკლევადიანი აქტივები		(16,833)
საეაჭრო მოთხოვნები		(58,911)
გადახდილი ავანსები		(161,428)
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები		109,089
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		(150,257)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები პროცენტის გადახდამდე		5,146,970
გადახდილი პროცენტები		(3,377,022)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული საოპერაციო საქმიანობაში		1,769,948
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(1,773,059)
ცვლილება ავანსებში გრძელვადიანი აქტივებისთვის		(123,089)
მიღებული პროცენტი		36,726
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,859,422)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შემცირება	12	(7,436,644)
შემოსულობა სესხიდან	14	41,748,378
სესხების დაფარვა	14	(32,915,028)
საიჯარო ვალდებულების გადახდა	16	(33,369)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1,363,337
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		1,273,863
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		148,412
გაცვლითი კურსების მოძრაობების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(14,030)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	1,408,245

სარჩევი

1. ანგარიშვალდებული საწარმო.....	8
2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები.....	9
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	18
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	18
5. ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	19
6. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	19
7. ფინანსური დანახარჯები	19
8. ძირითადი საშუალებები	20
10. ავანსი გრძელვადიანი აქტივებისთვის.....	21
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
12. საკუთარი კაპიტალი	21
13. კაპიტალის მართვა	21
14. სესხი.....	22
15. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა.....	22
16. საიჯარო ვალდებულება და აქტივი გამოყენების უფლებით	27
17. პირობითი ვალდებულებები.....	27
18. შეფასების საფუძველი	28

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე.

აღნიშნულმა მოვლენებმა საქართველოს ეკონომიკაზეც იქონია გავლენა და ქვეყნის ეკონომიკა ზემოთ აღწერილის შესაბამისად ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს; მეორე მხრივ, საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 6,7%-ით გაიზარდა 2024 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2025 წლის 31 იანვარს გამოცემული სწრაფი შეფასების მიხედვით. ამასთან, წინა წელთან შედარებით მოსალოდნელმა რეალურმა მშპ-ის ზრდამ 2024 წელს 9.5% შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2024 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 1,9% შეადგინა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

კომპანია (საიდენტიფიკაციო კოდი: 405538976) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად. კომპანია დაარსდა 2022 წლის 6 ივნისს, მისი იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი, N15, სართული 10, ბინა N 25, ბლოკი "დ".

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა განახლებადი ენერგეტიკული პროექტების განვითარება საქართველოში. კომპანიი შპს „მესტიაჭალა ენერჯი“-ს 100%-იანი წილის მფლობელია, რომელიც ამუშავებს 20 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგურს, მესტიაჭალა 1-ს.

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ორი მფლობელი, 81%-იანი და 19%-იანი წილებით შპს „ეიჯი სვანეთი ენერჯი“ და შპს „მესტიაჭალა“, შესაბამისად.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ დაშვების საფუძველზე, რომ გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობას და

მფლობელს აქვთ განზრახვა განავითარონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიამ აღიარა 511,456 ლარის წმინდა ზარალი. კომპანიის წმინდა მიმდინარე ვალდებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 260,270 ლარი (2024 წლის 1 იანვარი: 1,658,414 ლარი).

კომპანიის ლიკვიდურობის მდგომარეობის და ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ამავდროულად, შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული გაურკვევლობის ფონზე, ხელმძღვანელობა აფასებს, რომ უარეს სცენარში მას დამატებითი დაფინანსება დასჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად.

კომპანიამ მიიღო მხარდაჭერის წერილი მფლობელისგან. წერილი გამოხატავს მზადყოფნას დააფინანსოს კომპანიის საკონტრაქტო ვალდებულებები, თუ ასეთი საჭიროება წარმოიშობა, რათა უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა მინიმუმ 12 თვის განმავლობაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებიდან. თუ კომპანია ვერ შეძლებს დაფინანსების მოპოვებას ან სხვა ქმედებების განხორციელებას ამ გარემოებების საპასუხოდ აღნიშნულ ვადაში, შესაძლოა მათ ვერ შეძლონ საქმიანობის გაგრძელება.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

წინამდებარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და არ შეიცავს რაიმე სახის კორექტირებას აქტივების, ვალდებულებებისა და გამჟღავნებული ხარჯების საბალანსო ღირებულებებში და კლასიფიკაციაში, რაც სხვაგვარად შეიძლება მოითხოვებოდეს, თუ ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველი არ იქნებოდა შესაბამისი.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა კომპანიის მიერ თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდის მიმართ.

(ა) ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან

კომპანია ყიდის ელექტროენერგიას, რომელსაც გამოიმუშავებს საკუთარი ჰიდროელექტრო სადგურით. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის სანაცვლოდ.

ამონაგების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიანი ღირებულებით.

ელექტროენერგია იყიდება ცალკეული ხელშეკრულებების ფარგლებში და ელექტროენერგიის გაყიდვა ერთადერთ შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს. შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია და ამონაგები აღიარდება ისეთ დროს, როდესაც აქტივზე

კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, რაც მაშინ ხდება როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება შეთანხმებულ საზომ მრიცხველს.

ამონაგები ფასდება ხელშეკრულების საფუძველზე შეფასებული გარიგების ფასით. საზღაურის გადახდა ხდება ელექტროენერგიის გადაცემაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მომხმარებლები ჩვეულებრივ ვალდებული არიან გადაიხადონ შესაბამისი ნაშთები მომდევნო თვის ბოლომდე.

(ბ) EBITDA

კომპანია ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. EBITDA განისაზღვრება, როგორც შემოსავალი პროცენტის, ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე, წმინდა საკუროს სხვაობით განპირობებული ზარალის ან შემოსულობის გაწევამდე და წმინდა არარეგულარული მუხლების განხორციელებამდე.

(გ) არარეგულარული მუხლები

კომპანია ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. კომპანია არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის კომპანიის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით, რომლებიც გონივრულ ფარგლებში არ არის მოსალოდნელი მომავალში და ამგვარად ისინი არ უნდა იყოს გათვალისწინებული მომავალი შედეგების პროგნოზებში.

(დ) ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური დანახარჯები მოიცავს:

- ☐ ფასს 9-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯს სესხებზე;
- ☐ ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს;

საპროცენტო შემოსავლის ან დანახარჯის აღიარება ხდება მისი მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

(ე) უცხოური ვალუტა

i. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის (კორექტირებულ ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში

დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, კონვერტირებულს სანაგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში, წმინდა საფუძველზე.

(ვ) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(ზ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(ი) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვის არის გადახდილი დივიდენდები. დივიდენდების განაწილებაზე საგადასახადო ვალდებულების თანხა ანგარიშდება, როგორც წმინდა განაწილებული თანხის 15/85.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(თ) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

ii. შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

iii. ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან კომპანიის შიდა ძალებით

დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე პერიოდში, შემდეგია:

ინფრასტრუქტურული აქტივები	5-50 წელი
მიწები და ჭები	45 წელი
მანქანა-დანადგარები	3-5 წელი
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	2-5 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	3-10 წელი

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები

i. აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

ii. კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება, ამორტიზებული ღირებულებით.

აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებული ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

iii. აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ

ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როცა მისი პირობები არის მოდიფიცირებული და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

iv. ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(კ) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში.

(ლ) გაუფასურება

i. არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდიხებებისგან.

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდიხებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე, გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

ii. ფინანსური აქტივები

კომპანია ყველა ფინანსური აქტივის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და კომპანიის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ორ ეტაპად აღიარდება. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის. რომელთან მიმართებაშიც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

(მ) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად

აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(ნ) აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი ხელახალი შეფასების შედეგის შესაბამისად. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდების თანხას, ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდების გამოკლებით. აქტივის გამოყენების აღიარებულ უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადასა და აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესის განმავლობაში.

(ო) საიჯარო ვალდებულებები

კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, თუ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადახდების შედეგად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, ფიქსირებული საიჯარო გადახდების ცვლილებას ან საიჯარო აქტივის ნასყიდობის შეფასების ცვლილებას.

(პ) გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, საწყისი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა სახის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ.

თუ არსებობს მინიშნება, რომ გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე და პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ახსნა-განმარტებებზე, განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებიც გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებისას და რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნაში: 2 (თ) (iii) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა [15](#) (ა) -ში სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა.

5. ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან

2023 წლის დეკემბერში შპს „მესტიაჭალა ენერჯი“-მ გააფორმა ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულება (PPA) ელექტროენერგიის სისტემის კომერციულ ოპერატორთან (ესკო). ეს ხელშეკრულება ძალაშია 2034 წლის ბოლომდე. PPA-ის პირობების თანახმად, შპს „მესტიაჭალა ენერჯი“-ს აქვს უფლება გაყიდოს, ხოლო ესკო ვალდებულია შეიძინოს ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული მთელი ელექტროენერგია ყოველწლიურად 8 თვის განმავლობაში (სექტემბრიდან მაისის ჩათვლით). დარჩენილი 4 თვის განმავლობაში (ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით) ელექტროენერგია იყიდება ღია ბაზარზე.

ლარი	2024
ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ესკოსთვის	2,770,986
ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ღია ბაზრისთვის	4,999,244
სულ ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	7,770,230

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 60,066 ლარს და წარმოდგენილი იყო სავაჭრო მოთხოვნებში (2024 წლის 1 იანვარი: 19,579 ლარი).

6. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2024
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	860,592
სადაზღვევო ხარჯები	426,660
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	335,415
ტექნიკური მომსახურების ხარჯები	275,378
საკონსულტაციო და პროფესიული ხარჯები	90,745
საიჯარო ხარჯები	48,322
საბანკო მომსახურების საკომისიო	29,504
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	66,088
სულ სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,132,704

7. ფინანსური დანახარჯები

ლარი	შენიშვნა	2024
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	14	3,143,553
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	16	44,562
სულ ფინანსური დანახარჯები		3,188,115

8. ძირითადი საშუალებები

ლარი	ჰესის ოპერირებასთან დაკავშირებული აქტივები	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სათადარიგო ნაწილები და აქტივები შექმნის პროცესში	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	33,264,111	96,379	115,085	1,398,445	34,874,020
შესყიდვები	28,475	39,801	15,339	1,689,444	1,773,059
შიდა მოძრაობა	1,071,876	20,254	-	-1,092,130	-
გასვლა	(10,079)	-	-	-	(10,079)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	34,354,383	156,434	130,424	1,995,759	36,637,000
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(265,410)	(11,819)	(12,743)	-	(289,972)
ცვეთა წლის განმავლობაში	(939,511)	(35,527)	(17,907)	-	(992,945)
გასვლა	224	-	-	-	224
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,204,697)	(47,346)	(30,650)	-	(1,282,693)
საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	32,998,701	84,560	102,342	1,398,445	34,584,048
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	33,149,686	109,088	99,774	1,995,759	35,354,307

10. ავანსი გრძელვადიანი აქტივებისთვის

2024 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ავანსი გრძელვადიანი აქტივებისთვის, რომელიც შეადგენდა 474,566 ლარს და 351,477 ლარს შესაბამისად, განკუთვნილია ძირითადი საშუალებების შესაძენად.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
ნაშთები საბანკო ანგარიშებზე		1,408,245	148,412
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,408,245	148,412

ინფორმაცია კომპანიის საკრედიტო და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, წარმოდგენილია 15-ე შენიშვნაში.

12. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა საწესდებო კაპიტალი 755,786 ლარის და 8,192,430 ლარის ოდენობით, შესაბამისად. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

საწესდებო კაპიტალის მესაკუთრეს უფლება აქვს მიიღოს დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ის უფლებამოსილია ისარგებლოს კომპანიაში მის საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმის უფლებით.

(ბ) დივიდენდები

კომპანია დივიდენდს გასცემს გაუნაწილებელი მოგებიდან. 2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენდა 3,305,249 ლარს და 2,793,793 ლარს, შესაბამისად.

13. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა, კომპანია მიზნად ისახავს შეინარჩუნოს ძლიერი კაპიტალური ბაზა, კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბიზნესის მომავალი განვითარების მხარდასაჭერად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება.

ამ ზომების გამოყენებით, კომპანია მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს. კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

14. სესხი

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია კომპანიის პროცენტური სესხების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია 15-ე შენიშვნაში.

ლარი	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ბანკის სესხი	38,129,052	27,881,258
	38,129,052	27,881,258
მიმდინარე ვალდებულებები		
ბანკის სესხი	1,795,095	1,730,346
	1,795,095	1,730,346

- (ა) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან:

ლარი	2024 სესხები
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობებიდან 1 იანვრის მდგონარეობით	29,611,604
ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	
სესხის აღება	41,748,378
სესხის ძირის დაფარვა	(32,915,028)
სხვა ცვლილებები	
სესხების პროცენტის დაფარვა	(3,356,867)
სესხებზე დარიცხული პროცენტი	3,143,553
გაცვლითი კურსების მოძრაობების ეფექტი	1,692,507
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობებიდან 31 დეკემბრის მდგონარეობით	39,924,147

15. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

- (ა) სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ფლობილი ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება კოტირებული ფასებით შეფასების მეთოდის გამოყენებით აქტიურ ბაზრებზე და ასევე ბაზრის ემპირიული ამოსავალი მონაცემებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, არის შემდეგი:

ლარი	შენიშვნა	დონე	2024 წლის 31 დეკემბერი	
			საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1-ლი დონე	1,408,245	1,408,245
სავაჭრო მოთხოვნები		მე-3 დონე	78,490	78,490
ფინანსური ვალდებულებები				
სესხი	15	მე-3 დონე	39,924,147	39,924,147
საიჯარო ვალდებულება	16	მე-3 დონე	710,733	710,733
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		მე-3 დონე	123,877	123,877

ლარი	შენიშვნა	დონე	2024 წლის 1 იანვარი	
			საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1-ლი დონე	148,412	148,412
სავაჭრო მოთხოვნები		მე-3 დონე	19,579	19,579
ფინანსური ვალდებულებები				
სესხი	14	მე-3 დონე	29,611,604	29,611,604
სავაჭრო ვალდებულებები		მე-3 დონე	12,082	12,082

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო მოთხოვნების, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო;
- ▶ ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხების და საიჯარო ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთების გამოყენებით;

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;

– საბაზრო რისკი;

რისკის მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას აკისრია სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიის საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად, სავაჭრო მოთხოვნების გამო) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებიდან.

კომპანიის მასქსიმალურ საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნების და ფულასა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, რომელიც არის შემდეგი:

ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
სავაჭრო მოთხოვნები	78,490	19,579
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,408,245	148,412
სულ	1,486,735	167,991

ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით, რომელსაც მინიჭებული აქვს მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგი B+ შეფასებული Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც განთავსებულია ფულადი სახსრები.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიას მიაჩნია, რომ არაგაუფასურებული ვადაგადაცილებული ოდენობების ამოღება სავარაუდოდ მოხერხდება, ისტორიული გადახდების გამოცდილების და შესაბამისი კლიენტების საკრედიტო რეიტინგის ანალიზის მიხედვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, მომხმარებლები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, დაფარვის ვადის და წარსულში არსებული ფინანსური სირთულეების ფაქტების გათვალისწინებით.

ყველა ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების და სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები კლასიფიცირებულია მოკლევადიანად და ისინი გაუფასურებული არ არის. ამ ფინანსური აქტივების მოკლევადიანობის და ძალიან ლიკვიდური ხასიათის გამო, კომპანიამ შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეაფასა, როგორც არაარსებითი. შესაბამისად ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის და სავაჭრო მოთხოვნებისთვის ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში გაუფასურება არ აღიარდება.

(ბ) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის რისკის მართვისადმი არის, შესაძლებლობის ფარგლებში, იმის უზრუნველყოფა, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის სესხი შეადგენდა 39,924,147 ლარს და 29,611,604 ლარს შესაბამისად, რომლებიც ბანკისგანაა მიღებული. მაკონტროლებელი პირი აცხადებს, რომ იგი უზრუნველყოფს, ახლო მომავალში, ფინანსურ და სხვა მხარდაჭერას კომპანიისთვის, რათა კომპანიამ გააგრძელოს ოპერირება, რის გამოც არ არსებობს გაურკვევლობა კომპანიის ფუნქციონირებადობის საფუძვლის შესახებ.

(გ) საბაზრო რისკი

რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების და საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში. კომპანია არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

i. სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის რომლებშიც დენომინირებულია შესყიდვები და კრედიტები და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ვალუტები, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

ლარი	აშშ დოლარში	აშშ დოლარში
	დენომინირებული	დენომინირებული
	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 1 იანვარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,200,680	6,002

სესხი	(39,924,146)	(29,611,604)
საიჯარო ვალდებულება	(365,402)	-
წმინდა დაქვემდებარება	(39,088,868)	(29,605,602)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

	საშუალო კურსი	საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსი	
		2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 1 იანვარი
1 აშშ დოლარი	2.721	2.807	2.689

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

ლარი	მოგება ან ზარალი	
	ლარის გამყარება	ლარის შესუსტება
31 დეკემბერი 2024		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	3,908,887	(3,908,887)
1 იანვარი 2024		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	2,960,560	(2,960,560)

ii. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, პირველ რიგში, მოქმედებს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს „კომპანია“ დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ახალი სესხის და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას მართვის გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალეზადი.

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს მის ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომს. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულ ცვლილებას საანგარიშგებო თარიღისთვის არ ექნებოდა რაიმე გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

16. საიჯარო ვალდებულება და აქტივი გამოყენების უფლებით

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილ მიწების და საოფისე ფართის იჯარას. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოკლევადიან (იჯარები რომელთა პერიოდი 12 თვეზე ნაკლებია) და დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს არ აღიარებს როგორც საიჯარო ვალდებულებებს, ამგვარი იჯარების ხარჯი აღირდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

საოფისე ფართის იჯარების სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 5 წლიან პერიოდს, განახლების უფლებით. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ხოლო, მიწების შემთხვევაში სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 49 წლიან პერიოდს.

ქვემოთ მოცემულია აღიარებული აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებები და წლის განმავლობაში მათი ცვლილებები:

ლარი

1 იანვარი 2024	-
დამატება	701,801
წლის ცვეთა	(54,941)
31 დეკემბერი 2024	646,860

ფინანსური იჯარის საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ცვლილებები

ლარი

1 იანვარი 2024	-
ახალი იჯარა	701,801
დარიცხული პროცენტი	44,562
გადახდილი პროცენტი	(20,155)
იჯარის ძირის გადახდა	(33,369)
გაცვლითი კურსების მოძრაობების ეფექტი	17,894
31 დეკემბერი 2024	710,733

17. პირობითი ვალდებულებები

(ა) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული

კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია. ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის ადეკვატურია.

თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია დაქვემდებარებულია საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარჩელებსა და საჩივრებს. 2024 წლის 31 დეკემბრის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს აქტიური სასამართლო დავა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაძლოა სამომავლო სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

(გ) სადაზღვევო

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია, შესაბამისად მსოფლიოს სხვა ნაწილისათვის მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულიად ხელმისაწვდომი არ არის. მიუხედავად ამისა კომპანიას სრულად აქვს სადაზღვევო დაფარვა როგორც საკუთარ ძირითად საშუალებებზე, ისე ბიზნესს საქმიანობის შეჩერებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას კომპანიის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად ან ოპერაციებთან დაკავშირებით.

18. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.